რუსთაველის თეატრი სამამულო ომში (1941-1945)

მაია კიკნაძე

საკვანძო სიტყვები: *საშეფო ბრიგადები, პროპაგანდა, ქართული პიესები, პატრიოტული იდეები*

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ერთ-ერთი ყველაზე საშინელი გამოწვევა კაცობრიობის ისტორიაში თავისი სისასტიკით და მასშტაბებით იყო მეორე მსოფლიო ომი.
ომის დროს, საბჭოთა კავშირში თეატრები არ დაკეტილა. ამ დროს გაჩნდა ახალი დასები, ეგრეთ წოდებული საშეფო ბრიგადები, რომლებიც ჯარის ნაწილებსა და ჰოსპიტლებში მართავდნენ წარმოდგენებს. ქართველი მსახიობები იბრძოდნენ, როგორც ფრონტზე, ასევე ზურგში. რუსთაველის სახელობის თეატრიდან ბევრი მსახიობი, სცენის მუშა, მოკარნახე და ორკესტრის მსახიობი გაიწვიეს, რომლებიც შინ არ დაბრუნდნენ.
ომის მიუხედავად, რუსთაველის თეატრმა 1941-1945 წლებში, 18 ახალი პრემიერა გამოუშვა. აქ იდგმებოდა კლასიკა, პატრიოტული პიესები, კომედიები და ომის თემაზე დაწერილი თანამედროვე ქართული პიესები. ფაშიზმის თემას მიეძღვნა გერმანელი ებრაელი მწერლის, ფრიდრიხ ვოლფის პიესა „პროფესორი მამლოკი“, (Friedrich Wolf - Professor Mamlock), რომელიც 1941 წ. დაიდგა.
ომის დროს თეატრს პროპაგანდის მნიშვნელობაც ჰქონდა. თეატრს უნდა ჩაესახა მაყურებელში ოპტიმისტური განწყობა, გამარჯვების რწმენა. წარმოეჩინა საბჭოთა ჯარისკაცის თავდადება. მებრძოლი ადამიანის გმირული სულისკვეთება, ქვეყნისათვის თავგანწირვა.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, საქართველომ არაერთ გლობალურ გამოწვევას გაუძლო. იქნებოდა ეს ომები, რევოლუციები, პანდემიები, ოკუპაცია თუ სხვადასხვა სახის რეპრესიები. ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ქარტეხილები დიდ გავლენას ახდენდა კულტურულ პროცესებზე, მათ შორის თეატრალურ ხელოვნებაზეც. ერთ-ერთი ყველაზე საშინელი გამოწვევა კაცობრიობის ისტორიაში თავისი სისასტიკით და მასშტაბებით იყო მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საბჭოთა კავშირის ხალხები ერთი იდეისთვის გაერთიანდნენ და დიდი ბელადის – სტალინისა და სამშობლოსათვის ბრძოლაში ისახელეს თავი. მათ შორის იყვნენ კულტურის მუშაკები, ხელოვანები, მსახიობები, მხატვრები, მწერლები.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, საბჭოთა კავშირში თეატრები არ დაკეტილა. პირიქით, მეტი ყურადღება მიექცა სახელმწიფოს მხრიდან. შეიქმნა ახალი თეატრები (მაგ. ამიერკავკასიის ფრონტის მუსიკალური კომედიის რუსული თეატრი) და ეგრეთ წოდებული საშეფო ბრიგადები, რომლებიც ფრონტზე მსახიობებს ართობდნენ და მხარდაჭერას უცხადებდნენ. თეატრები მუშაობდნენ, სადაც კი შესაძლებელი იყო – ფრონტზეც და მტრის ზურგშიც. მსახიობები იბრძოდნენ, დაჭრილებისთვის ატარებდნენ კონცერტებს, აბარებდნენ სისხლს. ცნობილია თუ რა პირობებში შესრულდა შოსტაკოვიჩის მე-7 სიმფონია ლენინგრადში ბლოკადის დროს 1942 წლის 9 აგვისტოს.

ქართული თეატრიც, თავის მხრივ, ცდილობდა წვლილი შეეტანა ამ ბრძოლაში. ქართველმა მსახიობებმა 1500-ზე მეტი საშეფო წარმოდგენა-კონცერტი გამართეს. რუსთაველის თეატრმა 1942 წელს, აკაკი ვასაძისა და აკაკა ხორავას ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბა მსახიობთა ბრიგადები, რომლებშიც გაერთიანებულები იყვნენ დრამის, ოპერის, მოზარდმაყურებელთა თეატრისა და ესტრადის მსახიობები: ემანუელ აფხაიძე, გიორგი საღარაძე, თამარ ჭავჭავაძე, დიმიტრი მჟავია და სხვები. ისინი გამოდიოდნენ როგორც ფრონტზე, ასევე სამხედრო ნაწილებში.

რუსთაველის თეატრის მსახიობებს საკუთარი ფუ-

ლი შეჰქონდათ თავდაცვის ფონდში. მათ 226 ათასი მანეთი შეუტანიათ. 1943/44 წლების სეზონში, ოქტომბრის თვეში (4-ჯერ) წითელ არმიელთა ოჯახების დასახმარებლად თეატრმა ითამაშა სანდრო შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“ (რეჟ. დოდო ალექსიძე).

თბილისის ჰოსპიტალში მყოფმა დაჭრილმა ჯარისკაცებმა წერილი მისწერეს რუსთაველის თეატრის მსახიობებს (1941, 25/XI)[1] და სთხოვეს, რომ ისინი მოენახულებინათ და მათი ამბავი მოესმინათ.

რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცულია დოკუმენტი სათაურით „ავაშენოთ თბომავალი ბერიას სახელობის“.[2] თეატრი აღშფოთებულია, რომ ფაშისტმა პირატებმა ააფეთქეს თბომავალი „კომსომოლი“, რომელიც საქართველოს ნაპირებიდან გავიდა. რუსთაველის თეატრი უერთდება ფაბრიკისა და ქარხნების მუშების წინადადებას, რომ აშენდეს ახალი თბომავალი, რისთვისაც თეატრი გადარიცხავდა ერთი სპექტაკლიდან მიღებულ შემოსავალს შემოწირულობის ფონდში.

რუსთაველის თეატრის მუზეუმში[3] არსებობს ცნობა თეატრის თანამშრომლებისა, რომლებიც ომში გაიწვიეს და ვეღარ დაბრუნდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ომიდან დასახიჩრებულნი ჩამოვიდნენ და ვეღარ გააგრძელეს მუშაობა (მსახიობი დავით აბაშიძე). სამწუხაროდ, ომის დროს, თეატრის მუზეუმი დაიკეტა (1941-1946), თანამშრომლები სახლში გაუშვეს, რამაც გამოიწვია თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი მასალების სიმცირე, თუმცა რთული პირობების მიუხედავად, დასმა მოახერხა 18 პრემიერის გამოშვება.

1942/43 წლების სეზონში, თეატრს არ ავიწყდება დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავის აღნიშვნა. ამ დღეს მიუძღვნეს სპექტაკლი – ა. რჟეშევსკისა და მ. კაცის პიესა „ოლეკო დუნდიჩი“ (1942, 5 ნოემბერი, რეჟ. – აკ. ვასაძე), რომელიც სერბიელი გმირის ცხოვრებას მოგვითხობს სამოქალაქო ომში. რეპერტუარი ჭრელი იყო. აქ ვხვდებით, როგორც ომის თემისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს, ასევე კომედიებსაც („გაყრა“, „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი“) და საქართველოს ისტორიის ამსახველ პატრიოტულ პიესებს („სამშობლო,“ „კრწანისის გმირები“). თეატრი თავის სპექტაკლებით ცდილობდა მაყურებელში გამარჯვების რწმენა ჩაენერგია, ამას ემსახურებოდა ისტორიული პიესების დადგმაც, რომელიც უშუალოდ სამამულო ომს არ ეხებოდა, მაგრამ მოსახლეობაში მტრის მიმართ სიძულვილს თესავდა, პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდა.

ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, რუსთაველის სახელობის თეატრის რეჟისორ აკაკი ვასაძეს დაწყებული ჰქონდა მუშაობა დარასელის პიესაზე „კიკვიძე“. ეს იყო პირველი სპექტაკლი, რომლის პრემიერაც (1941, 15/IX) სამამულო ომის პერიოდში შედგა. სპექტაკლზე მუშაობის დროს, ვასაძეს, საომარი ვითარებიდან გამომდინარე წარმოდგენაში გარკვეული ცვლილებების შეტანა მოუწია. მაგ. არაერთხელ შეცვალა მსახიობები, ვინაიდან ვაჟები ჯარში გაიწვიეს, ახალი ძალები ჩაანაცვლა მასიურ სცენებს, ირაკლი გამრეკელის დახმარებით გადააკეთა დეკორაციაც.

ომმა, ბუნებრივია, თეატრალურ ცხოვრებაზეც იქონია გავლენა, თეატრი ახალ რეალობას უნდა მორგებოდა. ეს ეხებოდა არა მარტო სარეპერტუარო პოლიტიკას, არამედ შიდა განაწესს და დაფინანსებასაც. თეატრის ხელმძღვანელმა აკაკი ვასაძემ საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე გამართულ კამათში საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ, აღნიშნა: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს არ ყოფილა ისეთი გეგმაზომიერი შემოქმედებითი მუშაობა, როგორც სამამულო ომის პერიოდშია გაჩაღებული... თუ წინათ ომამდე, მარტო თბილისის თეატრებს სახელმწიფოსაგან დოტაციის სახით ათეული მილიონი მანეთი სჭირდებოდათ, ამჟამად ეს საჭიროება არ აღემატება 3 მილიონს“.[4] რაც შეეხება შიდა განაწესს, აკაკი ვასაძე თავის მოგონებებში წერდა: „...დაიწყო თუ არა ომი, შინსახკომის სახანძრო სამმართველოდან ბრძანება მივიღე, ხის დაზგიანი დეკორაციების რაოდენობა სცენაზე მინიმუმამდე შემემცირებინა და თეატრის სხვენის ხის ნაწილი შემეგოზა აყალო მიწით, ფუგასური ყუმბარებისაგან თავის უკეთ დასაცავად. ყოველივე ამის შესასრულებლად თვენახევრის ვადა მომცეს და თუ რაიმე შეუსრულებელი

1 რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმის ფონდი N1884.
2 იქვე, 1941-42 წლების სეზონის საქმე ხელნაწერთა ფონდი N1881.
3 იქვე, 1943-44 წლების სეზონის საქმე.
4 გაზ. კომუნისტი 1944, #58.

დამრჩებოდა, სამხედრო ტრიბუნალის წინაშე უნდა მეგო პასუხი“.[5]

ამ ბრძანების მიხედვით, ვასაძე იძულებული იყო, რეპერტუარიდან ამოეღო სპექტაკლები: „ანზორი“, „ყაჩაღები“, „არსენა“, „ბოგდან ხმელნიცკი“, „სააკაძე“, „თო-ფიანი კაცი,“ „სულელი“, „ღალატი“ და მათი დაზგები თეატრს უნდა გაენადგურებინა, რადგან ხისგან იყო ნაკეთები.

რა თქმა უნდა, ბრძანება მალე სისრულეში მოიყვანეს, მაგრამ რეპერტუარის შესავსებად საჭირო გახდა ახალ-ახალი სპექტაკლების დადგმა, რამაც ხარისხის დაქვეითება გამოიწვია.

„კიკვიძის“ დადგმას მალე მოჰყვა დოდო ალექსიძის სპექტაკლის, ფრიდრიხ ვოლფის პიესა „პროფესორი მამლოკის“ პრემიერა (1941, 24/X), რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. პიესაში ასახული მოვლენები 1932-1933 წლის გერმანიაში ვითარდება. ეს ის პერიოდია, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა ჰიტლერი. პიესის ავტორმა, ებრაელმა მწერალმა ფრიდრიხ ვოლფმა თავად ნახა და თავის თავზე გამოსცადა ფაშიზმის კოშმარები. მუდამ დევილმა, ემიგრაციაში /პარიზი 1933/ ყოფნისას დაასრულა პიესა, რომელიც ებრაელი ექიმი მამლოკის ტრაგიკული ცხოვრების ისტორიას ასახავს. სიუჟეტი ვოლფმა გაზეთიდან აიღო. მან ნახა სურათი იმ ებრაელი ექიმის, რომელსაც ეროვნების გამო, ფაშისტები ათრევდნენ მანჰაიმის ქუჩებში.

პიესის მსოფლიო პრემიერა 1934 წლის 19 იანვარს ვარშავის ებრაულ „კამინსკი“ თეატრში შედგა. ნაცისტურ პრესასაც კი არ შეეძლო ამ პიესის წარმატების ჩახშობა. ავტორს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ პიესა საზოგადოებას ფაშიზმის წინააღმდეგ ამხედრებდა.

საბჭოთა მაყურებელმა „პროფესორი მამლოკი“ ლენფილმის წყალობით გაიცნო 1938 წელს. საქართველოში, პიესა არაერთხელ დაიდგა სხვადასხვა ქალაქში (ჭიათურა, სოხუმი, ქუთაისი, თბილისი).

რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლის შესახებ ორი რეცენზია გამოქვეყნდა. როგორც გამოჩნდა, სპექტაკლს არ ჰქონდა დიდი წარმატება, მასში არაფერი იყო „ორიგინალური“ და მიუხედავად პიესის აქტუალობისა, არც თანამედროვედ ჟღერდა, „არ იგრძნობოდა ეპოქის მაჯისცემა“, ანუ როგორც აღინიშნა – გამოიწვია სპექტაკლი „მხატვრულ მიღწევათა მიღმა დარჩა“.[6] სპექტაკლს, როგორც ჩანს, აკლდა რიტმი, რაც პიესის სქემატურობას დაბრალდა, მიუხედავად პიესის გადამუშავებისა, მსჯელობა სჭარბობდა მოქმედებას, მაგრამ დამდგმელ ჯგუფს მაინც მოუხერხებია „დიდი ემოციური სპექტაკლის შექმნა“.[7]

როგორც უკვე აღვნიშნე, რუსთაველის თეატრმა ამ პერიოდში სულ 18 პიესა დადგა, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ოთხი ეხებოდა უშუალოდ სამამულო ომის თემას. ერთი გერმანული, სამი ქართული. ომის პერიოდის ქართული დრამატურგია არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიახლეებითა და მაღალმხატვრული ნიმუშებით, უფრო მეტიც, ამ პერიოდში ომის თემაზე ცოტა პიესა დაიწერა, ამდენად თეატრს არჩევანის საშუალებაც არ ჰქონდა და რაც დაიწერა, ყველა დაიდგა. შემთხვევითი არ იყო, რომ მწერალთა კავშირის სხდომის ჩანაწერებში, ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებზე მსჯელობისას, დრამატურგია მხოლოდ აქა-იქ გაკვრით არის ნახსენები. 1942 წლის 15 თებერვალს ჩატარდა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, სადაც განიხილეს საკითხი „სამამულო ომი და ქართული მწერლობის მუშაობა“.[8] სხდომაზე საუბარი არ შეხებია ქართულ დრამატურგიას, მხოლოდ აღინიშნა ამ დარგში პიესების ნაკლებობა. გამონაკლისს შეადგენდა გიორგი მდივნის შემოქმედება, მაგრამ ავტორს კავშირი არ ჰქონდა ფრონტთან, თუმცა ომის წლებში გაზეთ „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი იყო და ამ მხრივ გარკვეული ინფორმაცია გააჩნდა. ომისადმი მიძღვნილი მისი რამდენიმე პიესა ქართული თეატრების სცენაზე დაიდგა. დაწერიდან რამდენიმე თვეში, რუსთაველის თეატრმა წარმოადგინა (1942, 24/I) მდივნის გმირული დრამა „ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ“ (რეჟისორები: აკ. ვასაძე, დ. ალექსიძე, მხატ. ირ.გამრეკელი, მუსიკა – ი. ტუსკია).

პიესა, სამამულო ომის დაწყების პერიოდს ასახავს. მოქმედების განვითარება 1941 წლის 22 ივნისიდან იწყება. რკინიგზელი მემანქანის, გიორგი გიგაურის

5 ვასაძე აკ. მოგონებები, თბ. 1983.
6 გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1941, N44, 31.X.
7 გაზ. კომუნისტი, 1941, N257, 30.X.
8 სეა 8-1-906.

(მ. ჩიხლაძე) ვაჟები: სერჟანტი ოთარი (ვ. დოლიძე) და კაპიტანი ილო (გ. საღარაძე), წითელ არმიის რიგებში იბრძვიან ქვეყნის დასაცავად. სპექტაკლში ნაჩვენებია გმირობის მაგალითებიც. უკანასკნელ სცენაში, როდესაც ხიდზე ჯარით დატვირთულმა მატარებელმა უნდა გაიაროს, აღმოჩნდება, რომ მტერს მდინარეში ნაღმები ჩაუწყვია, საჭიროა ნაღმების გაუვნებლობა. ოთარი ყველას დაასწრებს და მდინარეში გადავარდება. მოისმის აფეთქება. მოდის ცნობა, რომ ოთარი გმირულად დაიღუპა. მაგრამ უეცრად ირკვევა, რომ გადარჩა და გულშეწუხებული შემოჰყავთ სცენაზე. ეს ეპიზოდი რეცენზენტმა იდეოლოგიური თვალთახედვიდან შეაფასა და ამის შესახებ კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა. რეცენზენტ შალვა აფხაიძის აზრით, ეს სცენა არ იყო ფსიქოლოგიურად გამართლებული. „... როგორ გადარჩა გაურკვეველია... ეს ამერიკული დაბოლოება არ არის რეალური. ფსიქოლოგიურად ეს სცენა საწინააღმდეგო შედეგს აღწევს, იგი ამშვიდებს, ადუნებს მაყურებელს. აქრობს იმ ცეცხლს, რომელსაც შურისძიების, აქტიური ბრძოლის გრძნობა ეწოდება“, თუმცა იმავე რეცენზენტის აზრით, „სპექტაკლში ძლიერ იგრძნობა პატრიოტული მაჯისცემა, გმირული სულისკვეთება, სამამულო ომით გამოწვეული მასობრივი თავდადება“.[9]

პრემიერას გამოეხმაურა გაზეთი „კომუნის-ტიც“, რომლის აზრით, სპექტაკლი განმსჭვალული იყო ვერაგ მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენით. ამ პატრიოტულ გმირულ სპექტაკლში, ნაჩვენები იყო საბჭოთა ადამიანების მამაცობა და უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი“.[10]

სულ რამდენიმე თვეში, 1942 წლის 20 ივნისს, რუსთაველის თეატრის აფიშაზე კვლავ გამოჩნდა გიორგი მდივნის გვარი. პიესა „მოსკოვის ბჭესთან“ (რეჟ. აკ. ხორავა, მხატ. ი. გამრეკელი, მუსიკა – ი. ტუსკია) ასახავდა საბჭოთა ადამიანების ბრძოლას მოსკოვის დასაცავად. 1941 წლის დეკემბერში, მოსკოვის მისადგომებთან ფაშისტების განადგურება და მათი უკუქცევა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ავტორს მიზად ჰქონდა, ამ ბრძოლის ყველა პროცესის ასახვა, იქნებოდა ეს საჰაერო ბრძოლა თუ პარტიზანული მოძრაობა, სანიტარ ქალთა გმირობა, საბჭოთა ხალხის წინააღმდეგობა და სხვა.

მიუხედავად, პიესის მნიშვნელობისა, რომელიც წარმოადგენდა პირველ ცდას მოსკოვის დაცვის გმირული ეპოპეის დრამატურგიული განსახიერებისა, მას გარკვეული ხარვეზები გააჩნდა. კრიტიკოსი ბესო ჟღენტი აღნიშნავდა, რომ პიესაში არ იყო ერთიანი ფაბულა, არ ჩანდა ინდივიდუალური სახეები. „მაგ. ბოლო მოქმედებაში ვერ აისახა ის მასშტაბები, რაც თან ახლდა წითელი არმიის კონტრშეტევაზე გადასვლას ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ. ასევე პრიმიტიულად იყო გამოკვეთილი მტრის სახე. არ ჩანდა თუ რამდენად ძლიერი და მძვინვარე იყო მტერი, რომელმაც იწვნია გამანადგურებელი დამარცხება მოსკოვის ბჭესთან“.[11]

სპექტაკლის ვაჟკაცური სულისკვეთება და ტემპერამენტი შეაქო რუსმა თეატრმცოდნე ალექსანდრე ფევრალსკიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა აკაკი ხორავას რეჟისურა, რომელმაც ზოგიერთ ეპიზოდში „მხატვრულ ეფექტს მიაღწია ამაღლებული თეატრალური სანახაობის შექმნით“.[12] პრემიერამდე რამდენიმე კვირით ადრე, სპექტაკლი ორჯერ გასინჯვეს (27 მაისს და 19 ივნისს). 1942 წლის 27 მაისს ჩატარდა სარეჟისორო კოლეგიის სხდომა. აჩვენეს სპექტაკლის „მოსკოვის ბჭესთან“ შავი რეპეტიცია. ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია. ეროვნულ არქივში დაცულია მასალები,[13] სადაც წარმოდგენილია ამ სხდომის ჩანაწერები.

სპექტაკლის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ზოგიერთი ეპიზოდის შეცვლასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ჰოსპიტლის სცენა, სადაც ბევრი დაჭრილი იყო წარმოდგენილი. მფრინავი კი სცენის გარეთ მოკვდებოდა.

სხდომის ოქმებში არსებული ჩანაწერების მიხედვით, ცხადი ხდება, რომ სპექტაკლი მძიმე სანახავი ყოფილა, ამდენად გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭირო იყო პიესაში მეტი იუმორისა და კომიკური ელემენტების შეტანა. თუ რამდენად მოხერხდა ამ ხარვეზის შესწორება რეცენზიების მიხედვით, არ ჩანს. არსებული

9 გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1942, #6, 8.II.
10 კომუნისტი. 1942, #22, 27.I.
11 გაზ. კომუნისტი, 1942, N146, 23.VI.
12 გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1942, N27, 3.VI.
13 სეა-1-56-65.

მასალიდან ირკვევა, რომ მიუხედავად „საფრონტო განწყობისა“ /ფევრალსკი/ და მსახიობთა /აკ. ვასაძე, ს.ზაქარიაძე, გ. საღარაძე/მიერ შესრულებული საინტერესო სახეებისა, სპექტაკლი მხატვრული ღირსებებით არ გამოირჩეოდა.

სამამულო ომის თემისადმი მიძღვნილ რეპერტუარს, რუსთაველის თეატრმა კიდევ ერთი სპექტაკლი შემატა. სერგო კლდიაშვილის პიესა „ირმის ხევის“ პრემიერა 1944 წლის 10 სექტემბერს შედგა (რეჟ.: აკ. ვასაძე, მხ. თ. აბაკელია, კომპ. ი.გოკიელი).

პიესაში წარმოდგენილი ამბები კავკასიის ხალხთა გმირულ ბრძოლას ასახავს გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. მოქმედება ვითარდება მთებში საქართველოს საზღვართან. პიესის სიუჟეტი ნამდვილ ამბავზეა აგებული. 1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საბჭოთა ბელადის სტალინის დავალებით, ლავრენტი ბერია გაემგზავრა ფრონტზე. მისი მითითებითა და ხელმძღვანელობით, წარმატებით განხორციელდა ფაშისტების განადგურების სტალინური გეგმა. პიესის მთავარი გმირი შალვა საბაშვილი სარდლობის დავალებით იგზავნება მტრის მიერ დაკავებულ სოფელში. მას ევალება მტრის შეჩერება და ირმის ხევის ჩახერგვა, რასაც ასრულებს კიდეც საკუთარი სიცოცხლის ფასად. პიესაში ნაჩვენებია სამშობლოს სიყვარულისა და განთავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლა, ხალხის მამაცობა და მათი დარაზმულობა. გამარჯვების იდეისათვის თავგანწირვა.

1944 წლის 8 დეკემბერს პიესის ირგვლივ მწერალთა კავშირში მოეწყო დისკუსია.[14] გამომსვლელები განიხილავდნენ პიესის მნიშვნელობას თანამდეროვე ქართული დრამტურგიის კონტექსტში, თუმცა ნაკლოვანებაზეც ამახვილებდნენ ყურადღებას. პრემიერიდან რამდენიმე დღეში თეატრმცოდნე დიმიტრი ჯანელიძემ სპეციალური სტატია უძღვნა სპექტაკლს. მან პირველ რიგში პიესა გააკრიტიკა, მისი აზრით, ამ დრამაში ასახული სოფელი ვერ წარმოადგენდა კავკასიის დაცვისთვის გმირული ბრძოლის განზოგადებულ ნათელ სურათს. პიესის მთავარი გმირი კაპიტანი საბაშვილის სახე და ხასიათი კი ვერ გამოსახავდა სამამულო ომის გმირს, ვინაიდან „უღიმღამო და უქნარა კაცად გამოიყურებოდა“. არც მსახიობის (გ. საღარაძე) თამაში იმსახურებდა კრიტიკოსის მოწონებას, ვინაიდან ვერ აჩვენა „წითელი არმიის მეთაურის ვაჟკაცური სული“...[15]

აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, პიესის გამოჩენა მაინც დადებით მოვლენად იქნა მიჩნეული, ვინაიდან ეს იყო კავკასიის დაცვის გმირული ამბების დრამაში ასახვის პირველი ნაბიჯი, რაც ქართველი მაყურებლისთვის საინტერესო და აქტუალური აღმოჩნდა. აკაკი ვასაძე აღნიშნავდა: „...ის გარემოება რომ სპექტაკლი მაყურებელში დიდი წარმატებითა და მოწონებით სარგებლობს, ნათლად მეტყველებს დრამატურგისა და თეატრის უდაო მიღწევაზე“.[16]

ამგვარად, როგორც რეცენზიებიდან და საარქივი მასალებიდან ირკვევა, აღნიშნულ სპექტაკლებს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებებს, შემოქმედებითი კოლექტივისთვის დიდი წარმატება არ მოუტანია, თუმცა მათი მნიშვნელობა ომის წლებში მაინც განსაკუთრებული იყო, რის შესახებაც არაერთმა კრიტიკოსმა აღნიშნა. თანამედროვე თემატიკა, გმირობისა და სამშობლოსთვის თავგანწირვის ჩვენება სცენაზე მაყურებელს ოპტიმიზმით ავსებდა და გამარჯვების რწმენას უნერგავდა.

14 გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1944 N189, 17/ IX.
15 გაზ. კომუნისტი, 1944, N189, 17/IX.
16 ლიტერატურა და ხელოვნება 1944, N41, 17.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვასაძე აკ. „მოგონებები, ფიქრები“, თბ. 1983.
- აფხაიძე შ., პროფესორი მამლოკი რუსთაველის სახ. თეატრში, გაზ. „ლიტერატორული საქართველო“, 1941, N44 31/X/
- აფხაიძე შ., ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ რუსთაველის სახ. თეატრში, გაზ. „ლიტერატორული საქართველო“, 1942, N6, 8/III
- ვასაძე აკ., დეპუტატ ა.ვასაძის სიტყვა, გაზ. „კომუნისტი“ 1944, #58, 19/III.
- გ.ჯ. ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ რუსთაველის სახ. თეატრში, გაზ. „კომუნისტი“,1942, 27/I, N22.
- ნუცუბიძე გრ., პროფესორი მამლოკი რუსთაველის სახ. თეატრში, გაზ. „კომუნისტი“, 1941, N257, 30/ XI.
- ჟღენტი, ბ., მოსკოვის ბჭესთან, გაზ. კომუნისტი, 1942, N146, 23/VI.
- ფევრალსკი, მოსკოვის ბჭესთან რუსთაველის თეატრში, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1942, N27, 3/VI.
- ჯანელიძე დ., ირმის ხევი რუსთაველის თეატრში, გაზ. „კომუნისტი“, 1944. N189, 17/IX.
- დისპუტი მწერალთა კავშირში, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944, N189, 17/IX.
- საქართველოს ეროვნული არქივი, მწერალთა კავშირის ფონდი- 8, ანაწერი- 1, საქმე-906.
- საქართველოს ეროვნული არქივი, რუსთაველის სახელობის თეატრი- ფონდი-1, ანაწერი-56, საქმე-65.
- რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმი, სეზონის ხელნაწერთა ფონდი: N1881.
- რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმი, 1941-1942 სეზონის სეზონის ხელნაწერთა ფონდი: N1884.
- რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმი, 1943-1944 სეზონის საქმე.

RUSTAVELI THEATRE DURING THE PATRIOTIC WAR (1941–1945)

Maia Kiknadze

Keywords: *Patronage brigades, propaganda purposes, Georgian plays, patriotic ideas.*

The Second World War, with its ferocity and scale, remains one of the most terrible challenges in millennia-old human history.
During the war, theatres in the Soviet Union were not closed. At that time, new groups appeared, so-called patronage brigades, which held performances in army units and hospitals. Georgian actors fought both on the front and in the rear. Many actors, stage workers, prompters, and orchestra musicians from Rustaveli Theatre did not return home.
Despite the war, Rustaveli Theatre produced 18 new premieres in 1941–1945. Classics, patriotic plays, comedies and modern Georgian plays written on the theme of war were staged here. The play *Professor Mamlock* by German Jewish writer Friedrich Wolf, staged in 1941, was dedicated to the theme of Nazism.
During the war, theatre served as a propaganda tool instilling optimism and faith in victory among the audience, celebrating the dedication of Soviet soldiers, their heroic spirit and self-sacrifice for the country.

Throughout its millennia-old history, Georgia has survived numerous global challenges, such as wars, revolutions, pandemics, occupation, repressions. The country's social and political shifts had a significant impact on cultural processes, including the art of theatre. The Second World War, with its ferocity and scale, remains one of the most terrible challenges in millennia-old human history which claimed millions of lives. The Soviet people came together around a single idea and made a name for themselves in the fight for their leader, Stalin, and homeland. Among these fighters were cultural figures, creatives, actors, artists, authors.

During the Second World War, theatres in the Soviet Union were not closed. On the contrary, greater attention was paid by the state. New theatres were created (for example, the Russian Theatre of Musical Comedy of the Transcaucasian Front) and so were so-called patronage brigades of entertaining and supporting actors in the front. Theatres worked wherever it was possible both un the front and in the rear of the enemy. Actors fought, held concerts for wounded soldiers, donated blood. The 7th Symphony by Shostakovich was performed in Leningrad during the blockade, on August 9, 1942.

Georgian theatre also tried to contribute to this struggle. Georgian actors held more than 1,500 public performances and concerts. In 1942, Rustaveli Theatre, led by Akaki Vasadze and Akaki Khorava, formed a brigade of actors, which included drama, opera, youth theatre, and estrada actors: Emanuel Apkhaidze, Giorgi Sagaradze, Tamar Chavchavadze, Dimitri Mzhavia, and others. They performed both in the front and military units.

Rustaveli Theatre actors donated 226,000 rubles to the defense fund. In the 1943/44season, in October alone, the theatre performed Sandro Shanshiashvili's *Heroes of Krtsanisi* (directed by Dodo Aleksidze) four times to help the families of Red Army soldiers.

Wounded soldiers in Tbilisi's hospital wrote a letter to the actors of Rustaveli Theatre (1941, 25/XI)[1] (Museum: F-1884) and asked them to visit them and listen to their story.

The Rustaveli Theatre Museum preserves a document titled "Let's build a steamship named after Beria[2] (ibid.: F-1881). The theatre was outraged by how Nazis blew up the steamship Komsomol, which had left the shores of Georgia. Rustaveli Theatre joined the proposal of factory workers to build a new heat engine and to

1 Rustaveli National Theatre Museum Fund N1884.
2 Ibid 1941-42 Season file, manuscript fund N1881.

transfer the total income received from one performance to the donation fund.

There is a document about Rustaveli Theatre Museum[3] workers who were drafted and killed in action. There were those who returned crippled and could not continue working (actor Davit Abashidze). Unfortunately, during the war, the theatre museum was closed (1941-1946), the employees were sent home, leading to shortage of materials depicting the creative life of theatre. Despite the difficult conditions, the troupe managed to release 18 premieres.

In the 1942/43 season, the theatre celebrated the 25th anniversary of the Great October Revolution. The play Oleko Dundich by A.Rzheshevsky and M.Kats (1942, November 5, directed by A.Vasadze), dedicated to this day, tells the story of a Serbian civil war hero. The repertoire was rich, with works dedicated to the theme of war, also comedies ("Divorce," "Stupid for Others, Smart for Himself") and patriotic plays depicting Georgia's history ("Motherland", "Heroes of Krtsanisi", "Flanders"). The theatre tried to promote faith in victory. Staging historical plays, which did not directly relate to the Patriotic War, but sowed hatred towards the enemy in the audience and stirred patriotic feelings, also served this purpose.

A few months before the war, Akaki Vasadze, Rustaveli Theatre's director, started working on Daraseli's play *Kikvidze,* the first play to premiere (1941, 15.IX) during the Patriotic War. While working on the play, Vasadze had to make some changes due to the war situation, such as replacing actors and extras many times since young men were drafted into the army; and, with the help of Irakli Gamrekeli, he also redid the scenery.

The war inevitably had an impact on theatre life, because it had to adapt to the new reality. This concerned not only the repertoire policy, but also the internal structure and financing. The theatre's director, Akaki Vasadze, in the debate on the state budget at the 7th session of the Supreme Council of the First Convocation of the Georgian Soviet Republic, noted: "It can be boldly said that there has never been such planned and ambitious work as during the Patriotic War.... If before the war, only Tbilisi theatres needed tens of million rubles in state subsidies, currently this need does not exceed 3 million"[4] (Communist: 1944). As for internal regulations, Akaki Vasadze wrote in his memoirs: "When the war started, I received an order from the Fire Department of the Internal Affairs Committee to reduce the number of wooden stage decorations to a minimum, and to cover the wooden part of the theatre's attic with soil to better protect from stray grenades. They gave me a month and a half, and if there was anything left unfulfilled, I would be court-martialed"[5] (Vasadze: Memoirs: 1983:189).

According to this order, Vasadze was forced to remove such performances from the repertoire as "Anzor", "Robbers", "Arsena", "Bogdan Khmelnitsky", "Saakadze", "The Man with a Gun", "The Fool", "Treason" and their wooden sets had to be destroyed by the theatre.

Of course, the order was soon fulfilled. But to fill the repertoire it became necessary to stage new performances, hence poorer quality.

The production of "Kikvidze" was soon followed by the premiere of Dodo Aleksidze's anti-Nazi play "Professor Mamlock" by Friedrich Wolf (1941, 24/X). The events described in the play take place in Germany of 1932-1933. This is the period when Hitler came to power. The author of the play, Jewish writer Friedrich Wolf, saw and experienced himself the nightmares of Nazism. Persecuted and exiled (Paris, 1933), he finished a play depicting the tragic life story of Jewish doctor Mamlock. Wolf took the story from the newspaper, seeing a picture of a Jewish doctor who, because of his nationality, was dragged by Nazis through the streets of Mannheim.

The world premiere of the play took place on January 19, 1934 at the Jewish Kaminski Theatre in Warsaw. Even the Nazi press could not suppress the success of this play. The author was accused of inciting the public against Nazism.

Soviet viewers got to know "Professor Mamlock" thanks to Lenfilm in 1938. In Georgia, the play was staged many times in different cities (Chiathura, Sokhumi, Kutaisi, Tbilisi).

Two reviews were published about the play staged in Rustaveli Theatre. Apparently, it did not have much success, there was nothing "original" in it, and despite

3 Ibid 1943-44 Season file.
4 Newspaper "Communist", 1944, #58.
5 Akaki Vasadze. Memoirs, Tb. 1983.

the relevance of the play, it did not sound modern, "did not feel the pulse of the epoch," the play "remained behind artistic achievements[6]" (Literary Georgia: 1941). The play seemed to lack rhythm, which was blamed on the play's schematic aspect, despite the play's reworking, reasoning prevailed over action, but the production team still failed to "create a grand emotional spectacle[7]" (Communist: 1941).

As mentioned earlier, Rustaveli Theatre staged a total of 18 plays during this period, but only four of them were directly related to the theme of the Patriotic War, one German and three Georgian. The Georgian dramaturgy of the war period was not distinguished by special novelties and high artistic examples, and few plays were written on the subject of war during this period, thus the theatre had no choice and all that was written had to be staged. It was not by chance that in the seconds of the Writers' Union meetings, when discussing processes in literature, dramaturgy was mentioned in passing.

On February 15, 1942, the Plenum of the Board of the Union of Soviet Writers of Georgia was held to discuss the issue "Patriotic War and the Work of Georgian Writers" (GNA: 8-1-906).[8] Georgian dramaturgy was not discussed at the session, only the lack of plays in this field was mentioned, except for Giorgi Mdivni's works. Though the author had no connection with the front, he was a military correspondent of "Pravda" newspaper during the war and had some information. Several of his plays dedicated to the war were staged in Georgian theatres. A few months after it was written, Rustaveli Theatre presented (1942, 24/I) the heroic drama by Mdivani "The Battalion Goes West" (Directors: Ak.Vasadze, D.Aleksidze, Stage Design Ir.Gamrekeli, Music I.Tuskia).

The play depicts the period of the Patriotic War's beginning. The development of the action begins on June 22, 1941. The sons of railway driver Giorgi Gigauri (M.Chikhladze), Sergeant Otari (V. Dolidze) and Captain Ilo (G. Sagaradze), are fighting in the ranks of the Red Army to protect the country. Examples of heroism are also shown in the play. In the last scene, when a train loaded with troops has to cross the bridge, it turns out that the enemy has planted mines in the river, so it is necessary to defuse the mines. Otari will overtake everyone and fall into the river. An explosion is heard. The news comes that Otari died heroically.

But suddenly it turns out that he survived, and is brought to the stage fainting. The columnist evaluated this episode from an ideological point of view and expressed a critical opinion about it. According to Shalva Apkhaidze, this scene was not psychologically justified. "It's unclear how he survived... this American ending does not seem real. Psychologically, this scene has the opposite effect, it debilitates the audience, puts out the fire called the feeling of revenge, active struggle." But, according to the same columnist, "patriotic pulse, heroic spirit, mass dedication caused by the Patriotic War are strongly felt in the play"[9] (Literary Georgia: 1942).

"Communist" newspaper argued the play was imbued with deep faith in victory over the enemy. This patriotic heroic performance showed the bravery of the Soviet people and their boundless love for the motherland, the Communist party of Lenin-Stalin."[10] (Communist: 1942)

In just a few months, on June 20, 1942, Giorgi Mdivni's surname again appeared on the poster of Rustaveli Theatre. The play "At the Gate of Moscow" (Director A. Khorava, Stage Design I. Gamrekeli, Music: I.Tuskia) reflected the struggle of the Soviet people to defend Moscow. In December 1941, the destruction of Nazis near Moscow and their reversal was an event of great historical importance. The author's goal was to depict all the processes of this struggle, whether it was an air battle or the partisan movement, the heroism of nurses, the resistance of the Soviet people, and so on.

Despite the importance of the play, which was the first attempt to dramatize the heroic epic of Moscow's defense, it had some flaws. Critic Beso Zhgenti noted that there was no unified plot in the play, no individual faces were visible. "For example, the scale of the Red Army's counter-offensive against the Fascist occupiers was not reflected in the last action. The face of the enemy was also primitively outlined. It was not seen how strong and fierce the enemy was, who finally suffered

6 Literary Georgia, 1941, N44, 31/ X/.
7 Communist 1941, N257, 30 /X/.
8 GNA 8-1-906.
9 Literary Georgia 1942, #6, 8/II.
10 Communist 1942, #22 27 /I.

a crushing defeat at the Moscow fortress" (Communist: 1942).[11]

Russian theatre critic Alexander Fevralsky praised the brave spirit and temperament of the play. He emphasized Akaki Khorava's directing, which in some episodes "achieved an artistic effect by creating a sublime theatrical spectacle[12]." (Literary Georgia:1942)

A few weeks before the premiere there were two rehearsals of the play. (May 27 and June 19). On May 27, 1942, a meeting of the director's board was held. They showed a rehearsal of "At the Moscow Gate". A discussion was held afterward. The materials of this session are preserved in the National Archives[13] (GNA 1-56-58).

Opinions expressed about the show were caused by changing some episodes. Such was, for example, the hospital scene, where many wounded were represented; or, the death of the pilot had to happen outside the scene.

According to the minutes of the meeting, it is clear that the play was difficult to watch, thus it was suggested that more humor and comic elements should be added. According to available reviews, it is not clear how much was corrected. It is clear from the available material that despite the "front-line attitude" /Fevralsky/ and the actors /A. Vasadze, S. Zakariadze, G. Sagaradze/, the performance was not distinguished by its artistic merits.

Rustaveli Theatre added another play dedicated to the theme of the Patriotic War to the repertoire. The premiere of Sergo Kldiashvili's play "Irmis Khevi" took place on September 10, 1944 (Directed by A. Vasadze, Stage design T. Abakelia, Music. I. Gokieli).

The stories presented in the play reflect the heroic struggle of the Caucasians against the German invaders. The action takes place in the mountains near the border of Georgia. The plot of the play is based on a true story. In the summer and autumn of 1942, Lavrentiy Beria visited the front by orders of Soviet leader Stalin. Under his guidance and leadership, Stalin's plan to destroy the Nazis was successfully implemented. The main character of the play, Shalva Sabashvili, is sent on a mission to an occupied village, to stop the enemy and close the Irmis Khevi gorge, which he does at the cost of his own life. The play shows the dedicated struggle for the love and liberation of the motherland, the courage of the people and their bravery, and sacrifice for the idea of victory.

On December 8, 1944, a discussion around the play was held at the Writers' Union[14]. The speakers discussed the importance of the play in the context of contemporary Georgian dramaturgy, but also focused on its shortcomings. A few days after the premiere, theatre critic Dimitri Janelidze dedicated a special article to the play. First of all, he criticized the play, arguing that the village depicted in this drama could not present a generalized clear picture of the heroic struggle for the defense of the Caucasus. The image and character of Captain Sabashvili, the hero of the play, could not portray a hero of the Patriotic War, because he "looked like a mediocre and incompetent man". The performance of the actor (G. Sagaradze) did not deserve the critic's approval either, since he could not show the "valiant spirit of a of the Red Army commander " (Communist: 1944).[15]

Despite these shortcomings, the play was still considered a positive event, since it was the first step in depicting the heroic stories of the defense of the Caucasus in a drama, which was interesting and relevant for the Georgian audience. Akaki Vasadze noted: "The fact that the play is very successful and popular with the audience clearly shows the undeniable achievement of the playwright and the theatre" (Literary Georgia[16]: 1944).

Thus, as it is clear from the reviews and archival materials, the performances above did not bring great success to the creative team as artistic works, but their importance was still special during the war years, as noted by many critics. The modern theme, the display of heroism and self-sacrifice for the motherland filled the audience with optimism and nourished faith in victory.

11 Communist newspaper 1942, N146, 23/VI.
12 Literary Georgia, 1942, N27, 3 /VI.
13 GNA-1-56-65.
14 Literature and Art 1944 N189, 17/ IX.
15 Communist, 1944, N189, 17/IX.
16 Literature and Art, 1944, N41, 17.

REFERENCES:

- ვასაძე აკ. მოგონებები, ფიქრები, თბ. 1983.
- აფხაიძე შ., პროფესორი მამლოკი რუსთაველის სახ. თეატრში, გაზ.ლიტერატორული საქართველო, 1941, N44 31/ X/
- აფხაიძე შ., ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ რუსთაველის სახ. თეატრში, გაზ.ლიტერატორული საქართველო, 1942, N6, 8/III
- ვასაძე აკ., დეპუტატ ა.ვასაძის სიტყვა, გაზ.კომუნისტი 1944, #58, 19/III.
- გ.ჯ. ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ რუსთაველის სახ. თეატრში, გაზ.კომუნისტი,1942, 27/I, N22.
- ნუცუბიძე გრ., პროფესორი მამლოკი რუსთაველის სახ. თეატრში, გაზ.კომუნისტი, 1941, N257, 30/ XI.
- ჟღენტი, ბ., მოსკოვის ბჭესთან, გაზ.კომუნისტი, 1942, N146, 23/VI.
- ფევრალსკი, მოსკოვის ბჭესთან რუსთაველის თეატრში, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1942, N27, 3/VI.
- ჯანელიძე დ., ირმის ხევი რუსთაველის თეატრში, გაზ. კომუნისტი, 1944. N189, 17/IX.
- დისპუტი მწერალთა კავშირში, გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, N189, 17/IX.
- საქართველოს ეროვნული არქივი, მწერალთა კავშირის ფონდი- 8, ანაწერი- 1, საქმე-906.
- საქართველოს ეროვნული არქივი, რუსთაველის სახელობის თეატრი- ფონდი-1, ანაწერი-56, საქმე-65.
- რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმი, სეზონის ხელნაწერთა ფონდი: N1881.
- რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმი, 1941-1942 სეზონის სეზონის ხელნაწერთა ფონდი: N1884.
- რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმი, 1943-1944 სეზონის საქმე.